თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

ოქმი N3

19 ნოემბერი 2020 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: ლევან ლილუაშვილი

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ბესიკ ქოჩიშვილი, გიგა ორკოდაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნანა ხვისტანი, ლევან კოჭლოშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, ნიკოლოზ მაისურაძე;

ასევე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ლევან ღარიბაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი - მაია დათუნაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გიორგი ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის - კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი - რუსუდან ძამუკაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი - შოთა ჩეკურიშვილი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ლ.ლილუაშვილი

მოისმონეს: 1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ლ.ლილუაშვილი

ლ. ლილუაშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო მერიის მიერ წარმოდგენილი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ლ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში არის ისეთი პროგრამები (სპორტული და კულტურული) რომლებიც პანდემიიდან გამომდინარე ვერ განხორციელდება და მათთვის განკუთვნილი თანხები გამოყენებულ იქნას ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მიმართულებით.

გ. ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულომ 2020 წლის 31 ივლისს N21 დადგენილებით დაამტკიცა მის მიერ ინიცირებული საკითხი, „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ რომელიც ავალდებულებდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილების შესაბამისად 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხის განსაზღვრას.

ასევე გ. ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ კიდევ ჰქონდა სამი ინიციატივა:

1. ქალაქ თელავაში „ძველ ბაღში“ ფანჩატურების მოწყობა და ასაკოვანი მოქალაქეებისთვის გართობისა და დასვენების პირობების შექმნა (პროექტი თან ერთვის ორ ფურცლად).

2. ქალაქ თელავში სკვერებში მულტიფუნქციური სტენდების მოწყობა და ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის სხვადასხვა სერვისების მიწოდება (პროექტი თან ერთვის ორ ფურცლად).

3. ქალაქ თელავში კინოთეატრის მოწყობა და კულტურულ - გასართობი ახალი კერის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისა და სტუმრებისთვის (პროექტი თან ერთვის ორ ფურცლად).

აქედან არც ერთი ინიციატივა არ არის 2021 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული.

გ. ორკოდაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ესმის პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების და ისიც რომ ინფრასტრუქტურული მიმართულებით თანხები შემცირებულია, მაგრამ მცირე ბიუჯეტიანი ინიციირება, რომელიც ეხება ქალაქ თელავაში „ძველ ბაღში“ ფანჩატურების მოწყობას გათვალისწინებულ იქნას 2021 წლის ბიუჯეტში.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი გადაეგზავნოს მერიას რათა გაითვალისწინონ ფრაქციის მიერ გამოქმული შენიშვნები და რეკომენდაციები.

ფრაქციის თავმჯდომარე: ლევან ლილუაშვილი